



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



PRESS RELEASE

დაუყოვნებელი გავრცელებისათვის

14 დეკემბერი, 2015

საკონტაქტო ინფორმაცია:

ნათია ჩოფლიანი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა

ეროვნული ასოციაცია

e-mail: nchopliani@nala.ge

cell: +995 593 10 46 44

USAID/ICCAMGR- ის მხარდაჭერით 65 მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების სამუშაო ჯგუფები შეიქმნა

საქართველო, თბილისი – აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამის “საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზემოქმედების შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია” (ICCAMGR) მხარდაჭერით საქართველოს 65 მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების სამუშაო ჯგუფები შეიქმნა. აღნიშნული ჯგუფები წარმოადგენენ მნიშვნელოვან საკომუნიკაციო რგოლს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა შორის. ასევე, სამუშაო ჯგუფები უზრუნველყოფენ მუნიციპალური ხელისუფლების ინფორმირებას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და დახმარებას უწყვენ ხელისუფლებას კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და შერბილების კუთხით ეფექტური პოლიტიკის გატარებაში. ICCAMGR პროგრამის ფარგლებში, ყველა სამუშაო ჯგუფის მდივანმა გაიარა გადამზადება წყლის რესურსების მართვის, სოფლის მეურნეობის, ბიომრავალფეროვნების დაცვის, ტყის რესურსებისა და დაცული ტერიტორიების მართვის, ნარჩენების მართვის, ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვის, მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვის და სხვა სფეროში. გადამზადების კურსის შედეგად, სამუშაო ჯგუფის მდივანებმა საკუთარ მუნიციპალიტეტებში კლიმატის ცვლილებების შემთხვევების გამოვლენისა და ეფექტური ადაპტაციისათვის სათანადო ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები შეიძინეს. სამუშაო ჯგუფების, მათი წევრებისა და ადგილმდებარეობის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ ეწვიოთ პროექტის ვებგვერდს, მისამართზე: www.nala.ge/climatechange

ICCAMGR პროგრამას ახორციელებს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

აშშ-ს მთავრობა მხარს უჭერს აღნიშნულ ინიციატივას საქართველოში, როგორც მნიშვნელოვან ძალისხმევას საქართველოს ბუნებრივი რესურსების და აგრეთვე საქართველოს ყველა მოქალაქის ეკონომიკური კეთილდღეობის ეფექტური მენეჯმენტისა და დაცვისათვის.

###

USAID საქართველოში: ბოლო 20 წლის განმავლობაში, ამერიკელმა ხალხმა, USAID-ის მეშვეობით, 1.5 მილიარდ დოლარზე მეტი ოდენობის დახმარება გაუწია საქართველოს. USAID-ის პროექტები მიზნად ისახავს დახმარების გაწევას საქართველოსათვის თავისუფალი და ძლიერი დემოკრატიის მშენებლობის პროცესში და მოიცავს ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასა და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესებაზე. USAID უწყვეს ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: <http://georgia.usaid.gov>